გიორგი ჯაფარიძის ხსოვნას

ჩვენს თვალწინ ჩაიარა მისმა ცხოვრებამ. პირველი განცდა, რომელიც დაეუფლა ადამიანს მისი ამბის გაგებისას, ეს იყო: ასე უდროოდ! (ჩვენ კი კვლავ განვაგრძობთ დროში სვლას თუ მივყავართ დროჟამს). ჩვენი "უკვდავების" ფონზე ვფიქრობთ, რომ მისგან ჩვენ მისი ცხოვრების ფრაგმენტი შეგვრჩა, შუაგზაზე შეწყვეტილი სიცოცხლე. რაღაც დარჩა გამოუვლენელი, გამოუსახველი...საიდუმლო. საიდუმლო მართლაც დარჩა, მაგრამ თანდათან ვრწმუნდებით, რომ ეს მთელი მისი ცხოვრება იყო, მთლიანი ცხოვრება, და სხვაგვარად წარმოდგენის უფლებაც არა გვაქვს.

გიორგი ჯაფარიძე იყო მონოლითური პიროვნება და ის ყოველ დღე, ყოველ წუთს, არისტოკრატული უშურველობით აფენდა თავის სულიერ სიმდიდრეს საზოგადოების, თავისი ნაცნობ-მეგობრების წინაშე, სადამდეც კი შეეძლო გასწვდომოდა, რამდენადაც მათ შეეძლოთ ამის აღქმა. მას არაფერი გადაუდევს სამომავლოდ, არაფერი გადაუნახავს, ტალანტი არ დაუმარხავს.

გიორგი ჯაფარიძე ეკუთვნოდა იმ ადამიანთა, ღვთის ხატად ქმნილთა იმ რიცხვს, რომელთაც არ დაუმარხავთ თავისი განუმეორებლობა, არც დაუკნინებიათ საზოგადოების საერთო დონემდე, ბოლომდე შეინარჩუნეს ის ერთადერთი განუყოფელი საკუთრება, ის პიროვნული ბირთვი, რომლის წართმევა მართლაც არავის შეუძლია ადამიანისგან, თუ არა კვლავ მისსავე საკუთარ ნებას. ჩვენი ყოფა კი საკმარისზე მეტად იძლეოდა და იძლევა იმის ხიფათს, რომ ადამის ძემ დაკარგოს ეს დასაბამიდან ბოძებული ღვთის ნიჭი.

ის თავად თავის კერძოობაში წარმოადგენდა ადამის ძეთა იმგვარ მოდგმას, რომლებიც თავიანთი პიროვნებით გამოხატავენ სინთეზს ტრადიციულობისა და სიახლისა. ეს ორი ერთმანეთის გამომრიცხავი საწყისი, თუ ვინმეში თანაარსებობდა ერთად, მასში თანაარსებობდა. ეს ორი სათავე შედუღაბებული იყო მის პიროვნებაში.

ეროვნული ცხოვრების წესს იგი განსხვავებულად ხედავდა და არა იქ, სადაც სხვანი ხედავენ. ცნობილი იყო მისი მომეტებებული სიყვარული საქართველოს მთისადმი, განსაკუთრებით ფშავ-ხევსურეთის საყმოებისადმი, რომელთა ყოველ ჯვარ-ხატს უყმო ყმად ხვდებოდა, მათ შორის ჯერ კიდევ ცოცხლად ეგულებოდა ტრადიციული ყოფა - დახვედრა-გასტუმრების წესები, დედაკაც-მამაკაცის ურთიერთობანი, სასუფრო ქცევები, სიწმიდეთადმი კრძალულება, წინაპრებთან, დამიწებულ მამა-პაპასთან სოლიდარობის ცოცხალი განცდა. როგორც თავად იყო მთლიანი, საქართველოს ამ ერთ ნაწილში მთლიან საქართველოს

ხედავდა. ამგვარი ყოფის შიგნიდან მჭვრეტელ-განმცდელი ვერ ხედავდა დაბრკოლებას მათ ადორძინებაში და, რამდენადაც ხელი ეწყობოდა ამკვიდრებდა კიდეც თავის წრეში. მაგრამ მის ამ ქმედებას არ ახლდა არც დონკიხოტობისა და, მით ნაკლებად, ხელოვნურობის მიშანწყალი. და თუ სხვებისთვის ქცევის ამ წესებს და ურთიერთობებს მხოლოდ ისტორიულ-კუთხური მნიშვნელობა ჰქონდა, იგი მათ გარდაუვალ, ეგზისტენციალურად სასიცოცხლო ღირებულებას ანიჭებდა.

ამიტომაც იმ თემთა გზები მისთვის არ იყო მეცნიერების, რაღაც მისი არსებისგან გარეგანი ცოდნის საგანი - საშუალება რაღაც სხვა მიზნის, თუნდაც საკუთარი კეთილდღეობის მისაღწევად. აქ ის ნამდვილად არ დადგომია "ტრადიციულ", სხვათაგან გათელილ გზას.

სული, მოვლენილი ღვთის დაუსაბამოებიდან - ძე უსაზღვრო მრავალფეროვნებისა და სიუხვისა გადაესკვნება ამ ქვეყნის სულს, ამ მთაგორებს, ამ ბარს, ერთხელ ჩაისუნთქავს ამ ჰაერს, მოიკლავს წყურვილს ყოველ ნაკადულზე და ყოველ წყაროზე ჩაჩოქილი, როგორც სჩვეოდა, და კვლავ იმ წიაღს დაუბრუნდება, რომ იყოს შვილი მამასთან და მამა შვილთან.

ბავშვი იხსენებდა: "პატარა რომ ვიყავი, მეგონა, რუსთაველი

და ვაჟა-ფშაველა ერთ დროს ცხოვრობდნენო". "ასეა ყოველთვის, მართალნი ერთად არიან".